

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

შპს ვიზ

ს/ნ 400254381

2022 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	3
2. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4 5
3. სააღრიცხვო პოლიტიკა	6
4. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	16



1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შენიშვნა		31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
აქტივები				
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	1	1,775,256	5,802,009	7,110,675
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	334,192	341,517	1,500
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3	2,856,606	109,733	5,074,763
გადახდილი ავანსები		47,496	76,533	382,022
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		2,856	9,000	242,546
<u>წინასწარ გადახდილი გადასახადები</u>	<u>4</u>	<u>3,575</u>	<u>4,095</u>	<u>957,393</u>
სულ მიმდინარე აქტივები		5,019,981	6,342,887	13,768,899
ძირითადი საშუალებები	5	98,426	113,972	161,859
ინვესტიციები ფასიან ქალაქებში	10	583,671	820,604	
<u>სხვა გრძელვადიანი აქტივები</u>		<u>540,400</u>		
<u>არმატერიული აქტივები</u>	<u>6</u>	<u>6,330</u>	<u>7,904</u>	<u>8,666</u>
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,228,827	942,480	170,525
სულ აქტივები		6,248,808	7,285,367	13,939,424

ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	16,316	15,978	48,784
საგადასახადო ვალდებულებები	4			
მიღებული ავანსები				8,899,975
<u>სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები</u>		<u>=</u>	<u>=</u>	<u>256,705</u>
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		16,316	15,978	9,205,464
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		4,037,972	4,905,372	5,632,359
<u>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</u>		<u>4,037,972</u>	<u>4,905,372</u>	<u>5,632,359</u>
სულ ვალდებულებები		4,054,488	4,921,350	14,837,823

საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		562,722	612,430	596,602
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1,631,798	1,751,587	(1,495,001)
სულ საკუთარი კაპიტალი		2,194,520	2,364,017	(898,399)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6,248,808	7,285,367	13,939,424



2. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები		9,863	9,170,159

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		0	6,272,250
მარაგების თვითღირებულება	11	0	6,272,250
საერთო მოგება		9,863	2,897,909

სარეკლამო ხარჯი		0	6,136
დასაქმებულთა ანაზღაურება	8	120,918	149,165
იჯარის ხარჯი		14,730	16,462
კომუნალური გადასახადები ხარჯი		1,834	7,278
კომუნიკაციის ხარჯი		1,011	5,886
ბუღალტრული და იურიდიული მომსახურების ხარჯი		19,582	35,158
ცვეთა და ამორტიზაცია		40,882	38,971
ძირ. საშუალებების მიმდინარე ექსპლ. ხარჯი		3,320	3,636
დაცვის მომსახურების ხარჯი		-	15,508
საგადასახადო ხარჯი		1,304	1,379
საბანკო მომსახურების ხარჯი		5,563	11,659
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი		31,231	28,833
სულ საოპერაციო ხარჯები		240,375	320,071

საოპერაციო მოგება		(230,512)	2,577,838
-------------------	--	-----------	-----------

საპროცენტო შემოსავალი:		48,173	18,115
საპროცენტო ხარჯი :		0	118,305
წმინდა საპროცენტო ხარჯი		48,173	(100,190)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	9	298,235	414,866
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	11	(192,138)	311,436
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(76,242)	3,203,950
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		(76,242)	3,203,950



[Handwritten signature]

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		0	9,000
რეალიზებული ძირ. საშუალებების თვითღირებულება		0	9,909
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		(0)	(909)
მოგება (ზარალი)		(76,242)	3,203,041

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		2,320,470	(898,399)
კაპიტალის გაზრდა		(49,708)	15,828
მიმდინარე პერიოდის წმინდა მოგება		(76,242)	3,203,041
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2,194,520	2,320,470



[Handwritten signature in blue ink]

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს „ვიზის“ 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის.

შპს „ვიზი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2018 წლის ოცდაექვს ნოემბერს, საიდენტიფიკაციო ნომრით - 400254381. კომპანიის იურიდიული მისამართი არის ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ერწოს ქ. N4, კორპ. 3, ბ.22, ხოლო ფაქტიური საქმიანობის განხორციელების ძირითადი ადგილი არის ქ. თბილისი, ვანის ქ. N4. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - ჭიაბერი ჭიაბრიშვილი (პ/ნ 01036000813), საქართველო. დამფუძნებელი პარტნიორები 2019 წლის 7 ნოემბრამდე იყვნენ: ინგა ბეკარიშვილი (პ.ნ 01019010308), საქართველო - 50% და დიმიტრი ხოლოდოვსკი (პ/ნ 71 2805369), რუსეთის ფედერაცია - 50%. დამფუძნებელი პარტნიორები 2019 წლის 7 ნოემბრიდან 2021 წლის 28 თებერვლამდე იყვნენ: ინგა ბეკარიშვილი (პ.ნ 01019010308), საქართველო - 49% და დიმიტრი ხოლოდოვსკი (პ/ნ 71 2805369), რუსეთის ფედერაცია - 51%. დამფუძნებელი პარტნიორები 2021 წლის 28 თებერვლიდან არიან: დიმიტრი ხოლოდოვსკი (პ/ნ 55 0418609), რუსეთის ფედერაცია - 80%, ინგა ბეკარიშვილი (პ.ნ 01019010308), საქართველო - 20%.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.



უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს 1 აშშ დოლარისთვის შეადგენდა 2,7020 ლარს, 1 ევროსათვის შეადგენდა 2,8844 ლარს, 2021 წლის 31 დეკემბერს 1 აშშ დოლარისთვის შეადგენდა 3.0976 ლარს, 1 ევროსათვის შეადგენდა 3,504 ლარს, 2020 წლის 31 დეკემბერს 1 აშშ დოლარისთვის შეადგენდა 3.2766 ლარს, 1 ევროსათვის შეადგენდა 4,0233 ლარს. არაფულადი მუხლების გადაანგარიშგება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციები განხორციელების დღის კურსით).

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშებზე (მათ შორის ბანკის მიერ გაყინულ თანხებს). აგრეთვე საინვესტიციო ბანკის Galt & Taggart-ის ანგარიშზე არსებულ ფულად სახსრებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

მიდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. გაუფასურების რეზერვის არსებობის შემთხვევაში ისინი აისახება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა



მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღიარება ხდება მის ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან, როგორშიც ის იმყოფება.

იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ ფინანსური იჯარა უნდა აღიაროს როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაუთვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი თანხა აღიარებული უნდა იქნეს ფინანსური იჯარის ვალდებულებად, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი საიჯარო გადასახდელები გადასახდელია იჯარის გაცემის დღიდან.

ფინანსური იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების შემდგომი აღრიცხვა (არსებობის შემთხვევაში), ცვეთის მეთოდი და სასარგებლო მომსახურების ვადა შეესაბამება



კომპანიის მიერ იურიდიულად ფლობის შესადარის აქტივებს. შესაბამისი ფინანსური ვალდებულება მცირდება საიჯარო გადასახდელებს გამოკლებული საპროცენტო დანახარჯით, რომელიც აღირიცხება ფინანსურ ხარჯად. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი ხარჯად აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც იქნება გაწეული.

ყველა სხვა იჯარა აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები, საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად, აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით, თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან, აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სახვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლების, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც



შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითად საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

სამშენებლო იარაღები და მოწყობილობები 3-7 წელი

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი - 3-7 წელი

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების გზით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. სავარაუდო მომსახურების ვადა შეადგენს 5-10 წელს პროგრამული უზრუნველყოფისთვის, უფლებებისთვის და სხვა.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გრძელვადიანი ზრდისთვის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისათვის როგორიცაა: გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ან საქონლის საწარმოებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. კომპანია საინვესტიციო ქონების თავდაპირველ აღიარებას და შემდგომ შეფასებას ახდენს თვითღირებულებით.

საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვა მოხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და დაექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.



ცვეთა საინვესტიციო ქონებას დაერიცხება წრფივად. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

საინვესტიციო ქონებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებული იქნება მოგება-ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ქონება გახდება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება, მოხდება მისი რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებში და რეკლასიფიკაციის თარიღისთვის არსებული საბალანსო ღირებულება გახდება მისი დასაშვები ღირებულება სააღრიცხვო მიზნებისთვის.

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, თუ მომავალში მოსალოდნელია დანახარჯებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება და დანახარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. სხვა დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, მათი გაწევის მომენტში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადების ხარჯი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.



A handwritten signature in blue ink, consisting of several loops and a long horizontal stroke.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით.

2017 წლის მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, მაშინ მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა არ წარმოიშვება, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება. ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადახდები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

აღნიშნული ცვლილებების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის სხვა შეღავათები.

ამონაგები შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

ამონაგები შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე/მომსახურებაზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს.



კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, გაიშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის

- აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება” გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.



სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
- შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა კომპანიის მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან
- მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემული იქნება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემული იქნება ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია



ეკონომიკური სარგებლის შემოღინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.



4. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2022	2021	2020
ნაღდი ფული საღაროში ეროვნულ ვალუტაში	537	543	3,844
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	3,357	435,022	213,259
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი)	719,447	3,403,205	68,891
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში (ევრო)	1,031,562	1,253,153	322,005
ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში - დეპოზიტები მყიდველებისგან	-	-	2,043,918
ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე (აშშ დოლარი) - დეპოზიტები მყიდველებისგან	-	-	4,458,758
ფული (აშშ დოლარი) - განთავსებული Galt & Taggart-ის ანგარიშზე	20,353	710,086	-
სულ	1,775,256	5,802,009	7,110,675

შენიშვნა 2

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები	334,192	341,517	1,500
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	0	0	-
სულ	334,192	341,517	1,500

შენიშვნა 3

მარაგები

	2022	2021	2020
ნედლეული და მასალები	120,524	108,897	341,699
დაუმთავრებელი წარმოება	2,735,635	-	4,693,669
სხვა მარაგები	-	-	38,550
საწვავი	447	836	845
სულ	2,856,606	109,733	5,074,763



შენიშვნა 4

საგადასახადო ვალდებულებები	2022	2021	2020
საგადასახადო ვალდებულებები	4,538	2,400	401,519
წინასწარ გადახდილი გადასახადი	(8,113)	(6,495)	(1,358,912)
	(3,575)	(4,095)	(957,393)

შენიშვნა 5

ბირითადი საშუალებები

	სამშენებლო იარაღები /მოწყობილობები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2020	57,984	38,019	100,800	196,803
შემოსვლა	-	1,111		1,111
გასვლა	-	2,136	12,240	14,376
31 დეკემბერი 2021	57,984	36,995	88,560	183,538
შემოსვლა	593		23,170	23,763
გასვლა	-			-
31 დეკემბერი 2022	58,577	36,995	111,730	207,301
ცვეთა და გაუფასურება				
31 დეკემბერი 2020	9,758	8,264	16,922	34,944
პერიოდის ცვეთა	14,236	9,107	14,108	37,452
გასვლა	-	498	2,331	2,830
31 დეკემბერი 2021	23,994	16,873	28,699	69,566
პერიოდის ცვეთა	14,286	9,062	15,961	39,309
გასვლა				
31 დეკემბერი 2022	38,280	25,935	44,660	108,875
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2020	48,226	29,756	83,877	161,859
31 დეკემბერი 2021	33,990	20,122	59,860	113,972
31 დეკემბერი 2022	20,297	11,060	67,069	98,426



შენიშვნა 6

არამატერიალური აქტივები

	2022	2021	2020
არამატერიალური აქტივები	11,014	11,014	10,257
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	4,684	3,110	1,591
არამატერიალური აქტივი წარჩენი ღირებულებით	6,330	7,904	8,666

შენიშვნა 7

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2022	2,021	2,020
სავაჭრო ვალდებულებები	16,316	15,978	48,784
სულ	16,316	15,978	48,784

შენიშვნა 8

დასაქმებულთა გასამრჯელოები

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2022	2021	2020
შრომის ანაზღაურება მთლიანად	77,806	76,531	77,477
სულ	77,806	76,531	77,477

შენიშვნა 9

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2022	2021	2020
შემოსავალი ვალუტის კურსის ცვლილებიდან/კონვერტაციიდან	1,731,914	1,549,554	760,610
ხარჯი ვალუტის კურსის ცვლილებიდან/კონვერტაცია	1,433,679	1,134,688	1,824,103
საკუროსო სხვაობით/კონვერტაციით მიღებული მოგება/(ზარალი)	298,235	414,866	(1,063,493)



შენიშვნა 10

ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში

ინვესტიციები განხორციელებულია უცხოური საწარმოების ფასიან ქაღალდებში და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია საბაზრო ფასებით.

შენიშვნა 11

2021 წლის საანგარიშო პერიოდში კორექტირებულია მარაგების თვითღირებულება და სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, რაც გამოწვეულია ხარჯის დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღებით და ოპერაციის დაგვიანებით ასახვით (ბუღალტრული გატარებით).

შენიშვნა 12

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2023 წლის 20 სექტემბერს.

დირექტორი

ჭ. ჭიაბრიშვილი

